## საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი

## ეროვნული კომისიის

## დადგენილება №65
2021 წლის 29 დეკემბერი

ქ. თბილისი

**„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და „ენერგეტიკისა და წყალმომარაგების შესახებ“ საქართველოს კანონის 23-ე და 168-ე მუხლების საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია **ადგენს:**

**მუხლი 1**

„ელექტროენერგიის ტარიფების შესახებ“ საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 4 დეკემბრის №33 დადგენილების (სსმ III, 08.12.2008 №175, სარეგისტრაციო კოდი 300.280.000.16.009.012.460) $10^1$ მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების დროებითი ტარიფები:

| | | | |
|---|---|---|---|
| ა) | 3,3-6-10 კილოვოლტი (საყოფაცხოვრებო მომხმარებელი): | | |
| | 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე | - | 18.136 თეთრი/კვტსთ; |
| ბ) | 220/380 ვოლტი (მცირე საწარმოები): | | |
| | 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე | - | 17.072 თეთრი/კვტსთ; |

გ) მოსახლეობის სოციალური დაცვის დამატებითი გარანტიების შექმნის და ელექტროენერგიის რაციონალური გამოყენების ხელშეწყობის მიზნით, შპს „თბილისის ელექტრომიმწოდებელი კომპანიის" აბონენტებისათვის, საყოფაცხოვრებო მომხმარებლებისთვის (მოსახლეობისათვის) 220/380 ვოლტ ძაბვაზე მოხმარებული ელექტროენერგიის რაოდენობის მიხედვით ელექტროენერგიის უნივერსალური მომსახურების მიწოდების ტარიფები (30 კალენდარულ დღეში):

| | | | |
|---|---|---|---|
| გ.ა) | 101 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე | - | 4.453 თეთრი/კვტსთ; |
| გ.ბ) | 101 კვტსთ-დან 301 კვტსთ-ის ჩათვლით: | | |
| | 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე | - | 7.853 თეთრი/კვტსთ; |
| გ.გ) | 301 კვტსთ-დან და მეტი: | | |
| | 2022 წლის 1 იანვრიდან 2022 წლის 1 მარტამდე | - | 11.653 თეთრი/კვტსთ.“. |

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

| | |
|---|---|
| კომისიის წევრი | გიორგი ფანგანი |
| კომისიის წევრი | მაია მელიქიძე |
| კომისიის წევრი | გიორგი ფრუიძე |